საქართველოს გზა მსოფლიო გეოპოლიტიკურ ლაბირინთში

ნინო გომართელი
სტუ-ს პროფესორი

მარინა სურმავა
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

XXI საუკუნის პირველ მეთხედში მსოფლიოში მიმდინარეობს ახალი კონფიგურაციის ჩამოყალიბება, სახეზეა მსოფლიო ოლიგარქატის დიდი გადანაწილება, რომელიც იბრძვის ფინანსების, რესურსების , ლოჯისტიკური გზების მოპოვებისა და გაკონტროლებისათვის. მსოფლიო იცვლება და ერთპოლუსიანიდან მინიმუმ ოთხპოლუსიანი ხდება: აშშ, რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი, სერიოზული გადანაცილება მოსალოდნელი არაბულ სამყაროშიც, რომელიც, ამჟამად, ამერიკული, ანგლოსაქსური ნებით, ხელოვნურადაა გადანაწილებული და იქაც მოსალოდნელია სერიოზული ცვლილებების დაწყება. დღეს, აღარ არსებობს გამოკვეთილი მსოფლიო წესრიგის კონტურები, აღარ არსებობს თამაშის ძველი წესები, გვაქვს ახალი გეოპოლიტიკური სურათი. რუსეთ-უკრაინასთან სამშვიდობო მოლაპარაკების შემთხვევაში, გამოიკვეთება ახალი მსოფლიო წესრიგის სავარაუდო კონფიგურაცია.

საქართველო დამოკიდებულია იმაზე, მსოფლიო ოლიგარქატში რა გადანაწილება მოხდება, რა ძალები გაიმარჯვებენ. ჩვენი ქვეყანა ამ დიდ პოლიტიკაში მოთამაშე კი აეა, მომლოდინეა. მან სწორი გათვლები უნდა გააკეთოს, რათა, როგორც სახელმწიფომ, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში დაიკავოს თავისი კუთვნილი ადგილი, რაც მთავარია, შეინარჩუნოს ბალანსირების პოლიტიკა და შეძლოს სწორი ორიენტაციის განსაზღვრა.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკა, მსოფლიოს ახალი წესრიგი, სამხრეთ კავკასია, აბრეშუმის დიდი გზა.

GEORGIA'S PATH IN THE GLOBAL GEOPOLITICAL LABYRINTH

Nino Gomarteli
Professor of GTU
Marina Surmava
Professor of GTU

SUMMARY

In the first quarter of the 21st century, the world is forming a new configuration; on the face of it, there is a significant redistribution of the global oligarchy, which is fighting for the acquisition and control of finances, resources, and logistical routes. The world is changing from unipolar to at least quadripolar: the USA, Russia, China, India, with significant shifts also expected in the Arab world, which is currently artificially distributed under American and Anglo-Saxon influence. Today, there are no distinct contours of the old global order; the old rules of the game no longer exist, and we have a new geopolitical landscape. In the case of peace negotiations between Russia and Ukraine, a likely new configuration of the world order will emerge.

Georgia is dependent on how the redistribution in the global oligarchy occurs and which powers prevail. Our country is a player in this grand political arena, albeit a waiting one. It needs to make accurate calculations to ensure that as a nation, it secures its proper place in ongoing political processes and most importantly, maintains a policy of balance and determines the correct orientation.

Key Words: Geopolitics, New World Order, South Caucasus, The Great Silk Road.

შესავალი

საქართველოს სტრატეგიული, გეოპოლიტიკური მდებარეობა ქვეყნის ბედნიერებაცაა და დიდი განსაცდელის სათავეც. უნიკალური ადგილმდებარეობის ქვეყნის მიმართ გეოინტერესები უძველესი დროიდან იყო და იქნება მომავალშიც. ისტორიულად, მთავარი გეომოთამაშეები ძლიერი იმპერიები იყვნენ, რომლებიც პირველობის მოსაპოვებლად ერთმანეთის განადგურებას ცდილობდნენ, შედეგად, იმპერიები იბადებოდნენ და ქრებოდნენ. ასე იყო წარსულში, მაგრამ რამდენად შესაძლებელია იმპერიების გაქრობა ბირთვულ ეპოქაში... დღეს ერთმანეთს უპირისპირდება ორი ბირთვული იმპერია - აშშ და რუსეთი. ამერიკა ჯერ მთავარი კონკურენტის - რუსეთის ნეიტრალიზებას, შემდეგ კი ჩინეთის დასუსტებას ცდილობს, რათა პირველობისაკენ მიმავალ გზაზე არ დაიტოვოს ორი სერიოზული მოწინააღმდეგე. მსოფლიოში მიმდინარე მწვავე დრამატული ცვლილებების ფონზე, ძალზე რთულია დამაიმედებელი პროგნოზების გაკეთება. ასეთ ვითარებაში საქართველოში გადამწყვეტია მშვიდობის, სტაბილურობის შენარჩუნება, რაც ქვეყნის განვითარების, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური გაუმჯობესების უმთავრესი ფაქტორია. საქართველო აღიქმება აბრეშუმის აღორძინებულ

გზაზზე შუა დერეფნად, ეს გზა ხუთი საუკუნის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა და დღეს, პრაქტიკულად თავიდან იბადება. იმედია, რამდენიმე წელინადში იგი სრული დატვირთვით ამუშავდება და შესაძლებელია საქართველო გახდეს არა შუა დერეფანი, არამედ მთავარი განმანაწილებელი ცენტრი, რომელიც ვფიქრობთ, ევროპისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ძირითად არტერიად გადაიქცევა.

ძირითადი ნაწილი

XXI საუკუნის დასაწყისიდან გამძაფრდა ურთიერთობა აშშ-სა და ჩინეთს შორის - დაიწყო სავაჭრო და სავალუტო ომი. აშშ-ს ჩინეთი ძირითად გლობალურ კონკურენტად მიაჩნია; იყო მოლოდინი, რომ პრეზიდენ ბაიდენის დროს მოხდებოდა ამ ორ ქვეყანას შორის დამოკიდებულების გადახედვა, მაგრამ მათი ურთიერთობა უფრო დაიძაბა. დონალდ ტრამპის პირველი პრეზიდენტობის პერიოდში, მისი ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივანი მაიკლ პომპეო ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ... საქართველოს ხელმძღვანელობას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეშვა ჩინეთის შესვლა თავის ქვეყანაში... ამ სახელმწიფოთა შორის რთული ვითარებაა დღემდე. ვფიქრობთ, საქართველომ უნდა შეძლოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების დამყარება როგორც აშშ-თან, ასევე, ჩინეთთან, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ასევე, მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ზოგადად, აღმოსავლეთთან. საქართველო დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ერთგვარი ხიდია, იგი ოდითგანვე ევროპა-აზიის დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენდა. როცა, ევროპული ღირებულებებისაკენ - დასავლური კულტურისაკენ მივისწრაფვით, უნდა გვახსოვდეს აღმოსავლეთიც. ძველები ამბობდნენ: „Ex oriente Lux" – „სინათლე აღმოსავლეთიდან ამოდის". ჩვენი ქვეყნის ფენომენალურობა, სწორედ, აღმოსავლურ-დასავლურობის სინთეზში გამოიხატება და ამით არის მომხიბვლელი. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაზე მოქმედება და ინტეგრაცია არა მარტო შესაძლებელი და რეალურია, არამედ - აუცილებელიც (3, 114). გლობალურ პოლიტიკაში ცვლილებებმა ამ გზის განახლების ახალი პერსპექტივები გააჩინა და გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ევრაზიის ბევრი ქვეყნისა და რეგიონისათვის უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთზემოქმედება და ინტეგრაცია, არა მარტო შესაძლებელი და რეალურია, არამედ - აუცილებელიც (3, 114). აღმოსავლეთ-დასავლეთ სამყაროს დაკავშირების საუკეთესო გზად აბრეშუმის გზის აღორძინება მიგვაჩნია. გლობალურ პოლიტიკაში ცვლილებებმა ამ გზის განახლების ახალი პერსპექტივები გააჩინა და გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ევრაზიის ბევრი ქვეყნისა და რეგიონისათვის უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა.

2013 წელს ჩინეთმა წამოაყენა „ერთი გზა, ერთი სარტყელის" პროექტის შესახებ, რომელიც სამ კონტინენტს მოიცავდა და ექვსი სატრანსპორტო დერეფნის განვითარებას ისახავდა მიზნად. პროექტის მიხედვით, ჩინეთის ეკონომიკას უნდა განევითარებინა გლობალური კავშირები საერთაშორისო ბაზრებზე მარტივი და სწრაფი წვდომით. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფარგლებში შემუშავებული ამბიციური თანამშრომლობის პროექტს - „ერთი სარტყელი, ერთი გზა" ერთმანეთთან უნდა დაეკავშირებინა აზია, ევროპა, აფრიკა, ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში ჩინეთი შეძლებდა სატრანსპორტო დერეფნების განვითარებას, მთელი რიგი არსებული ბარიერების გადალახვას და საერთო დისკუსიებსა და დიალოგებში ამ დერეფნების გასწვრივ მდებარე ქვეყნების მთავრობებთან ჩართვას (1,9). სწორედ ამის გამო გახდა აქტუალური „შუა დერეფნის" საკითხის გაცოცხლება, რაც ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. უკანასკნელ პერიოდში თბილისში შემოდგომობით სისტემატურად იმართებოდა „დიდი აბრეშუმის გზის" ფორუმები, რომელსაც ესწრებოდნენ ამ საკითხებით დაინტერესებული ქვეყნები. 90-იან წლებში ამ პროექტის განხორციელება არ მოხერხდა, რამეთუ ჩინეთი ევროპასთან დაკავშირებული იყო რუსეთზე გამავალი დერეფნით. 2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრას მოჰყვა დასავლეთის მხრიდან რუსეთის მიმართ ეკონომიკური სანქციების დაწესება, რამაც რუსეთზე სატრანსპორტო დერეფნის დაბლოკვა განაპირობა. ამის შემდეგ, ჩინეთი დაინტერესდა ევროპაში მიმავალი ტვირთები წამოსულიყო ცენტრალური აზიის გავლით აზერბაიჯანსა და საქართველოს ტერიტორიაზე, საიდანაც შემდეგ უკვე თურქეთით, ან შავი ზღვის პორტებით დაუკავშირდებოდა ევროპას. ეს საკმაოდ რეალისტური პროექტი იყო არამარტო ჩინეთის, არამედ, ევროპის ქვეყნებისთვისაც. უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთთან ვაჭრობა ევროპული სახელმწიფოების ინტერესსაც წარმოადგენს. დღემდე აშშ-ს არ აწყობდა აღნიშნული დერეფნის ამოქმედება და ყოველნაირად ცდილობდა შეეფერხებინა ამ დერეფნის ფუნქციონირება. უკანასკნელ წლებში აშშ-მ და საფრანგეთმა გააძლიერეს ამ თვალსაზრისით სომხეთის მხარდაჭერა, მაგრამ სომხეთიდან ტვირთების დასავლეთში ტრანსპორტირების მთავარ შემაფერხებელს წარმოადგენდა თურქეთი, თანაც აღსანიშნავია ისიც, რომ სომხეთი ვერ შეძლებდა საქართველოს ჩანაცვლებას გეოპოლიტიკურად და გეოეკონომიკურად. დღეისათვის ეს პროექტი სრულყოფილად არ მიიჩნევა, რამეთუ, ჩინური ტვირთის გარეშე, დერეფანი სრულად დატვირთული ვერ იქნება, ხოლო ახალი რკინიგზისა და ახალი მილსადენების მშე-

ნებლობა საკმაოდ ძვირი დაჯდება. ცნობილია, რა უზარმაზარი თანხები აქვთ ჩადებული თურქეთს და აზერბაიჯანს ახალქალაქი - ყარსის რკინიგზის მშენებლობაში და მათ ინტერესს არ წარმოადგენს საქართველოსთვის ზურგის შექცევა. აშშ-ს ნაკლებად აწყობს ჩინეთის ეკონომიკური გაძლიერება, რომლის მთავარ მიზანს ევროპასთან მჭიდრო დაკავშირება წარმოადგენს. ძალიან მნიშვნელოვანია მომავალში ვინ გააკონტროლებს შუა დერეფანს, აშშ დაინტერესებულია შავი და კასპიის ზღვის აუზების და სამხრეთ კავკასიის საკითხებით. აშშ-ს დღევანდელ ხელისუფლებას ამჯერად კავკასიური ტრანზიტის შეფერხება კი არა, კონტროლი სურს. საჭიროა, საქართველომ ითამაშოს გარკვეული როლი და აშშ-ს და ჩინეთს მათთვის და ქვეყნისათვის მომგებიანი ვარიანტები შესთავაზოს.

დასკვნა

სამხრეთ კავკასიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, იგი შუა დერეფნის ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა, შუა დერეფანი კი დასავლეთსა და ჩინეთს შორის ყველაზე ხელსაყრელია სავაჭროდ. აშშ-ს მხრიდან ჩინეთის სავაჭრო გზების გაკონტროლების კონტექსტში სამხრეთ კავკასიაც მოიაზრება. ეს რეგიონი დღეისათვის დიდი პოლიტიკის ნაწილი ხდება და აქ გავლენების მოსაპოვებლად სამყაროს დიდ მოთამაშეთა შორის ბრძოლაა დაწყებული. პირველი პრეზიდენტობის პერიოდში ტრამპს კარგი ურთიერთობა ჰქონდა აზიელ მოკავშირეებთან: იაპონისა და სამხრეთ კორეასთან. ეს რეგიონი მისი ინტერესის ობიექტს წარმოადგენდა და ამჟამადაც შეეცდება ტრადიციულ მოკავშირეებთან თანამშრომლობას, არ არის გამორიცხული ჩინეთთან და ირანთან ურთიერთობების გადახედვაც... ვფიქრობთ, პრეზიდენტი ტრამპი შეეცდება მთელი რიგი საკითხების სათანადოდ მოგვარებას. მის მთავრობაში და ახლო გარემოცვაში არიან პირები, რომლებსაც სურთ უკეთესი ურთიერთობების დამყარება ჩინეთთან, მათი ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესების მიზნით. სავარაუდოდ, აშშ შეეცდება გარე სამყაროსთან (ჩინეთი, რუსეთი...) ქვეყნის პოლიტიკის დაბალანსებას. ვფიქრობთ, გეოპოლიტიკით და გეოეკონომიკით გადატვირთულ მსოფლიოში ეს ადვილი როდია, მაგრამ შესაძლებელია. საქართველო კვლავ რჩება მუდვივ სამიზნედ, ამიტომ ნებისმიერი ხელისუფლების ვალია გამოიჩინოს სიფხიზლე, გონიერება, წინდახედულება (მათ შორის საქმიანი ხელშეკრულებების გაფორმების დროს). საქართველოს ინტერესებს ვერავინ გაითვალისწინებს, თუ თვითონ ჩვენი ქვეყანა არ იზრუნებს ამაზე. ყველა ქვეყანა, მათ შორის ჩვენი მეზობლები, თავიანთი ქვეყნების და ხალხების ინტერესებზე ზრუნავენ და შესაბამისად, მოქმედებენ კიდეც. საქართველომ თავისი შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა განახორციელოს სწორი, გეგმაზომიერი, ჯანსაღი და უმტკივნეულო პოლიტიკა. საქართველოს ხელისუფლების და მთელი საზოგადოების ვალია შევქმნათ ისეთი მდგრადი სახელმწიფო, რომელიც შეძლებს გარეშე საფრთხეებისაგან თავის დაცვას და იმოქმედებს მხოლოდ ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

„აბრეშუმის გზის“ აღორძინების იდეა აღემატება წმინდა ეკონომიკურ ჩარჩოებს და არანაკლებ პოლიტიკურ დატვირთვას იძენს. ჩვენი ქვეყნისათვის იგი გარკვეულწილად პოლიტიკური სტაბილიზაციის მყარი გარანტი უნდა გახდეს, მან ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს, როგორც ამ დიდი პროექტის ერთ-ერთი აქტორის ღირსეულ წარმოჩენას თანამედროვე სამყაროს წინაშე, როგორც უმდიდრესი ისტორიული წარსულის მქონე ქვეყნისა, რომელიც თავისი უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური მდებარეობით ყოველთვის ინტენსიურ კავშირში უნდა იყოს გარესამყაროსთან. საქართველო იყო, არის და იქნება გახსნილი ჭიშკარი, მასპინძელი და შემაკავშირებელი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგოლაშვილი კ., ახალი აბრეშუმის გზა: ევროკავშირისა და ჩინეთის თანამშრომლობის ეტაპი, იხ.: ექსპერტის აზრი 86. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბ., 2017, გვ. 3-18;
2. გომართელი ნ., „აბრეშუმის გზა“ და კავკასია, იხ.: ჟურნ. „მოამბე“ XXXVI, თბ., 2019, გვ. 38-42;
3. გომართელი ნ., სურმავა მ., „აბრეშუმის დიდი გზა“ - ტრანსკონტინენტალური სავაჭრო-საქარავნო გზის ისტორიიდან, იხ.: ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“ N 37, თბ., 2017, გვ. 67-72;
4. გომართელი ნ., საქართველო და საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალური საკითხები, თბ., 2021, გვ. 113-121;
5. გახეთი „კვირის პალიტრა“, 5-11 აგვისტო, 2024.